



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 360
22/01/2019

360-09-2-201901221809



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელსაც თან ერთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი.
გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ნოემბერი
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2019 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2019 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 27.12.2018, სარ. კოდი:190020020.35.112.016397) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 66
22/01/2019

66-09-3-201901221701



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშხიას

განმარტებითი ბარათი

2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამოეყო სკოლების რეაბილიტაციისათვის 102719.16 ლარი მათ შორის: ჩიბათის საჯარო სკოლის (ჭალის სკოლა) 39810,30 ლარი და ნინოშვილის საჯარო სკოლის 62908,86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1608425 ლარი, მათ შორის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო 300598 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 15822 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო 1307827 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 68833 ლარი.

2018 წლის 18 იანვრის საქართველოს მთავრობის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელ 698289 ლარიდან 208299 ლარი მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე, საკუთარი სახსრებიდან დასაფინანსებელია 45483 ლარი. კაპიტალური დაბანდებებზე სპორტის სფეროში (საფეხბურთო აკადემიის რეაბილიტაციისათვის) 478210 ლარი,

საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია 11780 ლარი. ხოლო 18663 ლარი მიიმართოს საკუთარი სახსრებიდან.

2018 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1622 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის მიზნით ჩამორიცხული თანხიდან აუთვისებელი 254391 ლარიდან მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე 253454 ლარი, 750 ლარი მიიმართოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლოატაციაზე, ხოლო 187 ლარი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე.

2018 წლის 01 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1468 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით აუთვისებელი 1593 ლარიდან მიიმართოს ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციაზე (ადმ.შენობები), 1240 ლარი სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა 353 ლარი.

გურიის ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართოს 6350 ლარი.

მუნიციპალიტეტის საწევრო ანარიცხების დაფინანსებაზე მიიმართოს 13500 ლარი.

აღნიშნული აუთვისებელი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის ხარჯზე.

აღნიშნული ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება რისთვისაც მიზანშეწოლილად მიგვაჩნია მოწვეული იქნას რიგგარეშე სესია.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური